მიხეილ ქართველიშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

მასალები საქართველოში ანტირელიგიური მუზეუმის საქმიანობის ისტორიიდან (საარქივო დოკუმენტების პუბლიკაცია)

თანამედროვე ეტაპზე, საბჭოთა კავშირის კომპლექსურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა, როგორც ქართულ, ასევე რუსულ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში, სადაც გამორჩეულ ადგილს იკავებს საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის მიმართულება, რადგან სრულიად აშკარა ხდება, რომ მისი სათანადო გაანალიზების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია გააზრებულ იქნას საბჭოთა იდეოლოგიის, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ცალკეული მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხები.

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის შესწავლის დროს ბუნებრივია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს" ორგანიზაციას, რომელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გატარებული არაერთი ანტირელიგიური ღონისძიება.

მიუხედავად იმისა, რომ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი"-ს დაარსება, მისი მუშაობის სპეციფიკა, ძირითადი მიმართულებები და ცალკეული მნიშვნელოვანი მახასიათებლები ქართულ [1, 202-228; 2, 107-132; 3, 464-474; 4; 5, 140-146; 6, 59-68; 7, 100-105], რუსულ [8, 63-93; 7] და დასავლურ [9, 61-90; 10; 11, 31-57] ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, იკვეთება გარკვეული საკითხები, რომელთა გაანალიზებასაც ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, არადა მათ სათანადო გააზრებას შესაბამისი ყუ-

რადღება უნდა მიექცეს აღნიშნული პრობლემატიკა მრავალი კუთხით არის საინტერესო და მათი კვლევა დღემდე დიდ შემეცნებით ინტერესსა და სამეცნიერო აქტუალობას ინარჩუნებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, დასახელებული ორგანიზაციის შესწავლა ადასტურებს, რომ იკვეთება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დღემდე შეუსწავლელია და სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი გვსურს დავუთმოთ აღნიშნული ორგანიზაციის ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიც არის საქართველოში ანტირელიგიური მუზეუმის დაარსება და საქმიანობა.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ფონდში დაცულია უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტები. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მუკის ფარგლებში ანტირელიგიურ მუზეუმთან დაკავშირებული საარქივო მასალა.

წინამდებარე პუბლიკაციაში საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას ვთავაზობთ ოთხ საარქივო დოკუმენტს, რომლებიც დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. პუბლიკაციაში დოკუმენტების სტილი შენარჩუნებულია, გასწორდა მხოლოდ უმნიშვნელო კორექტორული ლაფსუსები. დოკუმენტებს სქოლიოში თან ერთვის ჩვენეული კომენტარები, რაც მიზნად ისახავს მკითხველებს უფრო სრული და ნათელი შთაბეჭდილება შეუქმნას დოკუმენტებში გადმოცემული ინფორმაციის შესახებ.

აღნიშნული მასალა მნიშვნელოვანი და საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ ნათელს ჰფენს გასული საუკუნის 30-40-იანი წლების საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის წამყვანი ორგანიზაციის – „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ კომპლექსური მუშაობის კიდევ ერთ საინტერესო მიმართულებას.

დასასრულს, აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს აღნიშნულ საარქივო ფონდში არსებული მასალის გამოქვეყნება და ფართო საზოგადოებისათვის სათანადო

სამეცნიერო აპარატის დართვით მიწოდება. წინამდებარე პუბლიკაციით ზემოაღნიშნულ საარქივო ფონდში დაცული დოკუმენტების ჩვენს მიერ გამოცემის პირველ პრეცედენტს წარმოადგენს. განზრახული გვაქვს ამ საქმის სამომავლოდაც გაგრძელება, სადაც შევეცდებით მკითხველ საზოგადოებას წარვუდგინოთ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები. სწორედ ამიტომ, დარგის სპეციალისტებისა თუ ფართო საზოგადოებისაგან შენიშვნებსა და კვალიფიციურ მოსაზრებებს მადლიერებით მივიღებთ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ შემდგომ მუშაობისას.

დოკუმენტი №1

თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. კოჭლამაზაშვილს[1]

ახლად დაარსებულ ანტირელიგიურ მუზეუმს არ აქვს შესაფერი ბინა /ის შენობა, რომელშიაც ის ახლა მოთავსებულია აბოვიანის ქ. №17 ყოფ. ნარაშენის ეკლესია[2] ქუჩის ფართოების მიზნით ინგრევა/, რის გამოც მუზემს სრულიად არ გააჩნია არავითარი შესაძლებლობა მუშაობა გაშალოს.

ჟორესის ქუჩაზე მდებარეობს ლუტერიანების ეკლესია, რომელიც ფაქტიურად უმოქმედოა ხოლო დროგამოშვებით იქ თავს იყრიან სექტანტები.

1. იგულისხმება იოსებ კოჭალამაზაშვილი (1906-1969) – თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე 1938-1943 წლებში. 1932-1937 წლებში იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ტყიბულის და გურჯაანის რაიონული კომიტეტების, აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, 1938 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. 1943-1955 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1955-1969 წლებში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე [15, 612].

2. იგულისხმება ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესია, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, დგას კ. ლესელიძის ქუჩაზე, აიგო 1737 წელს. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დრის ეკლესია დაინგრა. მისი აღდგენა მიმდინარეობდა 1795-1808 წლებში. მიეკუთვნება ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრების ჯგუფს. ეკლესია მთლიანად აგურით არის ნაგები, ინტერიერის მოხატულობა განეკუთვნება 1834-1835 წლებს. 1983 წელს ეკლესია გაიწმინდა გვიანდელი მინაშენებისაგან [15, 714-715].

ეკლესია გამოდგება მუზეუმისათვის.

ამისათვის გთხოვთ თქვენს განკარგულებას აღნიშნული ეკლესიის ჩვენზე გადმოცემის შესახებ.

საქართველოს მებრძოლ უღმერთოა ცენ.

საბჭოს თავმჯდომარე: /სახაროვი/[3]

ანტირელიგიური მუზეუმის

დირექტორი: /გუჯაბიძე/[4]

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1547, ანაწერი 1, საქმე 81, ფურცელი 14 (მანქანაზე ნაბეჭდი).

---

3. სტეფანე სახაროვი (1907-1977) – ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დაიბადა სოფელ ინტაბუეთში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. 1924 წელს დაამთავრა ბათუმის ჰუმანიტარული ტექნიკუმი, 1931 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური ფაკულტეტი. საბჭოთა საქართველოში ათეისტური მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აქტიური მონაწილე, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარე. ჟურნალ „მებრძოლი ათეისტის" რედაქტორი. 1960 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერული ათეიზმის, ეთიკისა და ესთეტიკის კათედრის დაარსების აქტიური მონაწილე. ავტორია მრავალი ნაშრომისა ათეისტურ თემატიკაზე. საზოგადოება „ცოდნას" მეცნიერული ათეიზმის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ხელმძღვანელი [16, 4].

4. პარმენ გუჯაბიძე (1907-1985) – ქართველი ფილოსოფოსი, მეცნიერი, პარტიული მუშაკი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ ორგანოებსა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში: 1941-1953წწ. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგე; 1953-1954წწ. – აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; 1954-1963წწ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე. აქ მისი რედაქციით გამოიცა სტუდენტებისთვის სამი სახელმძღვანელო ფილოსოფიაში: „დიალექტიკური მატერიალიზმი" (თბილისი, 1955); „ისტორიული მატერიალიზმი" (თბილისი, 1957); „ფილოსოფიის ისტორია" (თბილისი, 1961). 1963-1970წწ. მოღვაწეობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (სოხუმი), სადაც მისი ინიციატივით და რედაქტორობით გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია" (სოხუმი, 1969); 1984-1985წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა დიალექტიკური მატერიალიზმისა და ლოგიკის პრობლემებზე. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1950), დოცენტი [17, 66-67].

დოკუმენტი №2

საქართველოს ანტირელიგიური მუზეუმის მუშაობის შესახებ

საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რა ამხ. პ. გუჯაბიძის მოხსენება ანტირელიგიური მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მუზეუმის განახლებულმა ხელმღვანელობამ, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ ერთგვარი დადებითი ხასიათის ნაბიჯები მაინც გადადგეს წინ. რაც გამოიხატება მუზეუმისათვის უფრო შესაფერისი ახალი ბინის შოვნა, ნაწილობრივ, ბიბლიოთეკისათვის და ექსპონატებისათვის მასალების შეგროვება და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ჯერ კიდევ უმნიშვნელო ღონისძიებებს წარმოადგენს მუზეუმის მშენებლობის საქმეში.

მუზეუმს არ ჰყავს სათანადო კვალიფიციური კადრები, ერთობ მცირეა მუზეუმის შტატი და ხელფასის განაკვეთი. მეცნიერული მუშაკი ღებულობს 250 მანეთს თვეში, რის გამოც ისინი არ ითვლებიან მუზეუმის ძირითად მომუშავეებად. ანტირელიგიურ მუზეუმს არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა აწარმოოს რაიონებში მეცნიერულ მუშაკების მივლინება რელიგიურ კულტის მასალების შესასწავლად, და სათანადო ექსპონატების გამოსავლინებად და შესაგროვებლად. ამასთანავე ერთად საქ. მუკის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებელია საქართველოს განსახკომის უმაღლეს სკოლების სამმართველოს კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება მუზეუმისადმი. თვით მუზეუმის თანამშრომელთა შორისაც ჯერ კიდევ ვერაა სათანადოთ განაწილებული კონკრეტული მოვალეობანი, არ აქვთ ინდივიდუალური სამეცნიერო კვლევითი გეგმა თანამშრომლებს, თვით მუზეუმს კი კვარტალური და წლიური, რეალური გეგმები. ამის გამო არ ხდება თანამშრომელთა რაციონალური გამოყენება. მუზეუმი ძლიერ სუსტადაა დაკავშირებული სამეცნიერო კულტურულ დაწესებულებებთან, ისტორიკოსთა და ეთნოგრაფიულ მეცნიერ მკვლევართა ძალებთან და სხვა.

გამომდინარე აქედან საქ. მუკის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნვას, რომ მუზეუმის ასეთ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა დროულად და გადაჭრით გაუმჯობესდეს მუზეუმის პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ასეთს პირობებში არსებობას არავითარი აზრი და მნიშვნელობა არ ექნება.

საქ. ანტირელიგიური მუზეუმის ნორმალური მშენებლობის წარმართვის მიზნით საქ. მუკის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი სთვლის, რომ აუცილებელია შემდეგ ღონისძიებათა გატარება უახლოეს პერიოდში, რის შესახებაც ეცნობოს საქ. განსახკომს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქ. ანტირელიგიური მუზეუმის 1939 წლის საფინანსო გეგმა 900 მანეთის რაიოდენობით.
2. მუზეუმის შტატის მეცნიერულ თანამშრომელთა ხელფასი გაუთანაბრდეს სხვა სამეცნიერო საკვლევო დაწერსებულებების თანამშორმლების ხელფასს.
3. 1939 წ. გადიდებულ იქნას მუზეუმის შტატი. არსებულთან შედარებით 50%-ით და უზრუნველყოფილ იქნეს ის კვალიფიციური კადრებით.
4. კადრების მომზადებისა და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ანტირელიგიურ მუზეუმებში გამოცდილებათა მიღების მიზნით 1939 წელში მივლინებულ იქნეს ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადის ანტირელიგიურ მუზეუმებში საქ. ანტირელიგიური მუზემის ერთი ხელმძღვანელი და ორი მეცნიერული მუშაკი ერთი თვის ვადით.
5. გამოთხოვილ იქნეს საქ, განსახკომის მიერ ერთი კვალიფიციური მეცნიერული მუშაკი ქ. მოსკოვის ანტირელიგიურ მუზემთან სამუზეუმო მშენებლობის საკითხებზედ კონსულტაციის გასანევად და მუზეუმის პროფილისა გეგმის დასაზუსტებლად.

6. საქ. განსახკომის მიერ დასმულ უნდა იქნეს საკითხის სახკომსართა საბჭოში, რათა საქ. ანტირელიგიურ მუზეუმს დაუყოვნებლივ გადაეცეს ანტირელიგიურ საექსპონატო მნიშვნელობის ყველა მასალები უმოქმედო ეკლესიებიდან და მუზეუმებიდან.
7. შესწავლილ იქმნეს საკითხი საქ. ებრაელთა ეთნოგრაფიულ მუზეუმის საქ, ანტირელიგიურ მუზეუმთან შეერთების შესახებ, რისთვისაც უნდა გამოიყოს სათანადო კომისია საკითხის შესამუშავებლად.
8. მუზეუმში დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს მეცნიერულ თანამშრომელთა ინდივიდუალურ გეგმით მუშაობა, რაც დღემდე არ ხდება. მიმაგრებულ უნდა იქნეს თვითეული მეცნიერული თანამშრომელი ცალკე პრობლემის დამუშავებაზე მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით. ამჟამად, პროველ რიგში მუზეუმმა უნდა აწარმოოს საარქივო მასალების შესწავლა და დამზადება ცალკეული პერიოდების მიხედვით სათანადო ნივთიერი ექსპონატების შეკრებასთან ერთად თბილისის ფარგლებში.
9. საქართველოში რელიგიის ისტორიის ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამის და წარმართულ კულტის სახეების ღრმა მეცნიერული შესწავლის უზრუნველსაყოფად მუზეუმმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს ისტორიულ ეთნოგრაფიულ არქეოლოგიურ სამეცნიერო საკვლეო ინსტიტუტებთან და საზოგადოებასთან, უნდა მიიზიდოს თავის მუშაობაში ყველა შესაფერისი ძალები, უნდა აწარმოოს მათთან ერთად მუზეუმში საკვლევო ხასიათის მუშაობა, მოხსენებები, ლექციები და სხვა.
10. განსხაკომის უმაღლესი სკოლების სამმართველომ სისტემატური ხემძღვანელობა და კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს ანტირელიგიურ მუზეუმს, რომელიც ამჟამად განსაკუთღებულ ყურადღებას მოითხოვს.

11. ეთხოვოს საქ. განსახკომს ამხ. კიკნაძეს,[5] რათა ანტირელიგიური მუზეუმის მდგომარეობის შესახებ მოსმენილ იქნას მოხსენება უახლოეს დროში განსახკომის კოლეგიის სხდომაზე დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმოამდგენლებთან ერთად საერთო ღონისძიებათა გამომუშავების მიზნით უახლოეს დროში.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1547, ანაწერი 1, საქმე 83, ფურცელი 1-3 (მანქანაზე ნაბეჭდი).

დოკუმენტი №3

საქ. ანტირელიგიურ მუზეუმის დირექტორს

საქ. მებრძოლ უღმერთოთა ცენტრალური საბჭოს მიერ მეცნიერი მუშაკ პარმენ გუჯაბიძეს /მივლინებული ქ. მოსკოვში სამეცნიერო მოვლინებაში ყოფნის გამო მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ხაზით/ დავალებული ჰქონდა ანტირელიგიური მუზეუმის

5. იგულისხმება გიორგი კიკნაძე (1902-1963) – ქართველი პარტიული მუშაკი, პედაგოგიკის სპეციალისტი. საშუალო განათლება მიიღო ქ. ხაშურში. 1923 წელს დაამთავრა ჰუმანიტარული ტექნიკუმი. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი და მიიღო ეკონომისტის სპეციალობა. იმავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1929-1934 წლებში იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე: საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონულ კომიტეტში, თბილისის კომიტეტსა და გარეუბნის რაიონულ კომიტეტში. პარტიულ მუშაობას ათავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. 1934 წელს მიავლინეს მოსკოვში უმაღლესი კომუნისტური განათლების ინსტიტუტში სასწავლებლად. 1937 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დაინიშნა საბჭოთა კავშირის ხალხთა პედაგოგიკის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 1937 წლის ივლის-სექტემბერში გიორგი კიკნაძე იყო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის პირველი მოადგილე. 1937-1938 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, 1938-1944 წლებში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, ხოლო 1944-52 წლებში – საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი. გიორგი კიკნაძეს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები პედაგოგიკის საკითხებზე [18, 47-48].

მუშაობის გაცნობა და მისი ერთერთი განყოფილების შესწავლა ქალ. მოსკოვში, /კერძოდ რელიგიის წარმოშობა/. ამხ. გუჯაბიძემ ეს დავალება შეასრულა.

გაცნობებთ რა ამას, საქ, მუკის ცენტრალური საბჭო რეკომენდაციას უკეთებს ამხ. გუჯაბიძეს მუზეუმში სამუშაოდ.

საქ. მუკის ცენტრ. საბჭოს
თავმჯდომარე /სახაროვი/

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1547, ანაწერი 1, საქმე 83, ფურცელი 37 (მანქანაზე ნაბეჭდი).

დოკუმენტი №4

საქართველოს განსახკომს
ამხ. ერ. ბურჭულაძეს[6]

თანახმად თქვენი მოთხოვნისა ა/რ. მუზეუმის მუშაობის შესახებ მოკლედ გაცნობებთ შ ე მ დ ე გ ს:

ა/რ. მუზეუმი, თანახმად საქ. კ. პ. /ბ/ ც. კ. ბიუროს 7/14 დადგენილებისა, განსახკომისა და საქ. მუკის მიერ გაფორმებულია 1937 წლის სექტემბრიდან.

6. ერმილე ბურჭულაძე (1901-1970) – ქართველი ისტორიკოსი, თანამდებობის პირი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1950), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). 1934 წელს დაამთავრა თსუ, იქვე – ასპირანტურა. 1934 წლიდან მუშაობდა სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ მუშაკად, 1935–37 წლებში იყო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, 1937-1939 წლებში საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, 1939-47 წლებში თბილისის ა. პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი და ფილოსოფიის კათედრის გამგე, 1953-54 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, 1954-57 წლებში საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტსკოლის პროფესორი. 1957 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის ხოლო 1968 წლიდან – მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორი. იყო საქართველოს სსრ I-III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები [18, 67-68].

მუზეუმში მუშაობა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია, დღემდე მუზეუმს არა აქვს არავითარი განყოფილება გამზადებული, როდესაც დღემდე უსათუოდ შეიძლებოდა გვქონებოდა, არ ხდება ა/რ. ექსპონატების შეგროვება საქართველოში, თბილისის გარდა. მუზეუმს არა ყავს სათანადო კვალიფიციური კადრი არსებული კადრიდან ორი არის მეცნიერული თანამშრომლები, რომელთა მომზადებისათვის საჭირო იყო მათი მივლინება მოსკოვსა და ლენინგრადის ა/რ. მუზეუმებში. სამწუხაროდ ასეთი ღონისძიება დღემდე არ ჩატარებულა, ეს კი აუცილებელი იყო. ვინაიდან ჩვენში არ მოიპოვება ა/რ. მუზეუმისათვის კვალიფიციური კადრები.

მუზეუმის დირექტორად მუშაობს ამხ. ი. ასკურავა, რომელიც სამწუხაროდ სისტემატიურად ავადმყოფობს, რის გამოც ასკურავა მოკლებულია მუზემის ყოველდღიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საქმეს, ეს კი დიდათ ხელს უშლის სთანადო მუშაობის გაშლას.

საქ. მუკმა იცის რა მუზეუმის ასეთი მდგოამრეობის შესახებ, მას ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია მისი ასეთ მდგომარეობაში დატოვება, ამისათვის გთხოვთ თქვენც შეამოწმოთ ეს გარემოება და დასახოთ სათანადო ღონისძიებანი.

საქ. მუკის ცენტრ. საბჭოს თავმჯდომარე – /სახაროვი/
პ/,გებელი მდივანი – /გ. ჭელიძე/

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1547, ანაწერი 1, საქმე 83, ფურცელი 39 (მანქანაზე ნაბეჭდი).

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები:

1. მირიან ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, 1987.
2. გივი როგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), თბილისი, 1994.
3. ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი I, თბილისი, 2008.
4. ეკა სილაგაძე, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წლებში, თბილისი, 2023.
5. მიხეილ ქართველიშვილი, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ბრძოლა აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ. // Scientia – პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2021.
6. მიხეილ ქართველიშვილი, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში, თბილისი, 2022.
7. მიხეილ ქართველიშვილი, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" მოღვაწეობის ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხი (ბრძოლა შობის დღესასწაულის წინააღმდეგ), TSU-TI საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, №1, თბილისი, 2022.
8. Б. Н. Коновалов, Союз воинствующих безбожников. // Вопросы научного атеизма, გამოცემა 4, Москва, 1967.
9. Светлана Покровская, Союз воинствующих безбожников в СССР: организация и деятельность (1925-1947). Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Москва, 2007.
10. Б. Н. Коновалов, Союз воинствующих безбожников. // Вопросы научного атеизма, გამოცემა 4, Москва, 1967.
11. Светлана Покровская, Союз воинствующих безбожников в СССР: организация и деятельность (1925-1947). Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва, 2007.

12. Dimitry Pospielovsky, Soviet Studies on the Church and the Believer's Response to Atheism: Volume 3 of A History of Soviet Atheism in Theory and Practice, and the Believer, Volume 2, Palgrave Macmillan UK, 1988.
13. Daniel Peris, Storming the Heavens: The Soviet League of the Militant Godless, Cornell University Press, 1998.
14. Victoria Smolkin, A Sacred Space Is never Empty, A History of Soviet Atheism, Princeton University Press, 2018.
15. ენციკლოპედია თბილისი, თბილისი, 2002.
16. ს. სახაროვი [ნეკროლოგი] გაზეთი „კომუნისტი", №155 (16895), 5 ივლისი, 1977.
17. ქართველი ფილოსოფოსები (IV საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით), ცნობარი, ბათუმი, 2004.
18. თბილისის უნივერსიტეტის რექტორები, ავტორ-შემდგენელი გოჩა საითიძე, თბილისი, 2002.

Mikheil Kartvelishvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, assistant professor of the faculty of Huminities.

Materials from the history of the activities of the Anti-Religious Museum in Georgia (Publication of archival documents)

Summary

The complex study of the Soviet Union, both in Georgian and in Russian and Western historiography, is given importance in modern development, where stimulation is given to individual important and fundamental issues

of Soviet ideology, domestic and foreign policy, which were impossible to calculate in the Soviet period.

When studying Soviet politics, special attention is naturally paid to the „Union of Fighting Godless“ organization, from the map of the creative council of the 30s-40s of the last century. The current conduct of a number of anti-religious events.

In this publication, we offer to the public interested in the issue four archival documents that have not been published to date and are entering scientific circulation for the first time. The documents contain information about the anti-religious museum in Georgia.